პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი

/2021 წელი, იანვარი-ივნისი/

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს და რეაგირებს საჯარო თუ კერძო დაწესებულებების მიერ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების ფაქტებზე. უწყება მონაცემთა დაცვის საკითხებზე კონსულტაციას უწევს დაინტერესებულ პირებს, ზრუნავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, განიხილავს მოქალაქეთა განცხადებებს და ინსპექტირების გზით ამოწმებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ფუნქციონირებს სამი დამოუკიდებელი დეპარტამენტი (საჯარო სექტორზე, კერძო სექტორზე და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტები), რომლებიც მონაცემთა დაცვის საკითხებს განიხილავენ სექტორულად.

მოქალაქეთა მომართვიანობა

2021 წლის 1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შემოვიდა 158 განცხადება/შეტყობინება, რომელთაგან 64% (101) შეეხებოდა მონაცემთა დამუშავებას კერძო დაწესებულებებში, 21% (33) - სამართალდამცავ ორგანოებში, ხოლო 15% (24) - სხვა საჯარო უწყებებში.

შემოსული განცხადებების/შეტყობინებების რაოდენობა



შემოწმება (ინსპექტირება)

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საჯარო და კერძო დაწესებულებებს ამოწმებს როგორც მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით. 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ჩაატარა 66 შემოწმება (ინსპექტირება). მათგან 53% (35) ჩატარდა მოქალაქეთა განცხადებებისა და შეტყობინებების საფუძველზე, ხოლო 47% (31) - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინიციატივით.



გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

2021 წლის 1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების 79 ფაქტი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 71% (56) გამოვლინდა კერძო სექტორში, 19% (15) - საჯარო სექტორში, ხოლო 10% (8) - სამართალდამცავ ორგანოებში.

გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები



გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთაგან 32 პირს ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა, ხოლო 27 პირს - გაფრთხილება.

გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელები



სამსახურის მიერ გაცემული დავალებები და რეკომენდაციები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ორიენტირებული იყო არა მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელების დაკისრებაზე, არამედ დაწესებულებებში აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაზეც. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორი, გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად, თავისი გადაწყვეტილებებით გასცემდა შესასრულებლად სავალდებულო დავალებებსა და ასევე, რეკომენდაციებს. 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გასცა 162 დავალება და რეკომენდაცია, რომელთაგან 53% (86) გაცემულია კერძო დაწესებულებების, 29% (47) - საჯარო დაწესებულებების, ხოლო 18% (29) - სამართალდამცავი ორგანოების მიმართ.

სამსახურის მიერ გაცემული დავალებები და რეკომენდაციები



სამსახურის მიერ გაცემული კონსულტაციები

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებზე სამსახური ეწევა საკონსულტაციო საქმიანობას. ამ მიზნით, სამსახურს მომართავენ როგორც კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები, ასევე მოქალაქეები. კონსულტაციები გაიცემა ზეპირადაც (სატელეფონო და პირადი შეხვედრების ფორმატში) და წერილობითაც.

გაცემული კონსულტაციების რაოდენობა

1546